საქართველოს კანონი

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 28) 20^2 მუხლის:

ა) 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის მიღების უფლების მქონე პირთა წრე და მისი გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“;

ბ) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის მიღების უფლების მქონე პირთა წრის და მისი გაცემის წესის განსაზღვრა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღებამდე იურიდიულ ძალას ინარჩუნებს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 ნოემბრის №941 ბრძანებულება „საქართველოს სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

ქუთაისი,

20 სექტემბერი 2013 წ.

N1265-Iს